

განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებით და განისაზღვრა 34,500.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი 13 ცვლილების და 3,932.4 ათასი ლარის ოდენობით წინა წლიდან გადმოსული ნაშთის შედეგად ბიუჯეტი გაიზარდა 38,760.9 ათასი ლარით და საბოლოოდ შეადგინა 73,260.9 ათასი ლარი. აქედან ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 10,450.0 ათასი ლარით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დელეგირებულ უფლებამოსილებათა შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა სახსრებმა კი შეადგინა 24,378.5 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და დელეგირებულ უფლებამოსილებათა შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა დანიშნულებით გამოყოფილი თანხების შესახებ მონაცემები იძლევა შემდეგ სურათს:

9,188.5 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად;

948.0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებისათვის;

555.0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 თებერვლისა და 26 თებერვლის №215 და №336 განკარგულებების საფუძველზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ;

1,203.9 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის №808 განკარგულების საფუძველზე ამფითეატრის დემონტაჟისა და სტიქიისგან დაზიანებული შენობის აღდგენისათვის;

4,805.6 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №350 განკარგულების საფუძველზე ანაკლიის კაფე-რესტორნების, ანაკლია-განმუხურის ბულვარის, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის სარწყავი სისტემის და ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციისათვის;

1,066.0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების საფუძველზე გადაუდებელი დახმარების ცენტრისა და ამბულატორიების მშენებლობის სამუშაოების განხორციელებისათვის;

2,799.5 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების საფუძველზე სკოლების რეაბილიტაციისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

312.0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის №2135 განკარგულების საფუძველზე;

3,500.0 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №193 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალური ავტოპარკის განახლებისათვის სესხი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

შემოსულობების ნაწილში

შემოსულობების გეგმა 2019 წლის ბოლოსათვის განსაზღვრული იყო 69,328.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 70,823.8 ათასი ლარი ანუ 1,495.3 ათასი ლარით მეტი. აქედან საკუთარი შემოსულობების გეგმა იყო 44,950.0 ათასი ლარი შესრულებამ შეადგინა 47,408.9 ათასი ლარი ანუ 2,458.9 ათასი ლარით მეტი.

ცალკეული სახეების მიხედვით შემოსავლების დაზუსტებული მაჩვენებლების შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

გადასახადები (დღგ, ქონების გადასახადი) პროგნოზირებული იყო 31,888.2 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 33,954.8 ათასი ლარი ანუ პროგნოზირებულზე 2,066.6 ათასი ლარით მეტი. დღგ შემოსულია 24,089.0 ათასი ლარის, ქონების გადასახადი გარდა მიწისა 7,673.6 ათასი ლარის, სასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი 525.0 ათასი ლარის, არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი 1,667.2 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია; სანქციები, ჯარიმები და საურავები; ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული) პროგნოზით წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 4,511.8 ათასი ლარის ოდენობით. შესრულებამ შეადგინა 4,756.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებელზე 245.1 ათასი ლარით მეტი.

სხვა შემოსავლებიდან 2019 წელს მიღებულია:

992.0 ათასი ლარი - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, პროგნოზირებულზე 2.0 ათასი ლარით მეტი;

565.0 ათასი ლარი - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, პროგნოზირებულზე 15.0 ათასი ლარით მეტი;

509.4 ათასი ლარი - სანებართვო მოსაკრებელი, პროგნოზირებულზე 59.4 ათასი ლარით მეტი;

524.1 ათასი ლარი - დასუფთავების მოსაკრებელი, პროგნოზირებულზე 24.1 ათასი ლარით მეტი. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად აღნიშნული სახიდან თანხები წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ოდენობით არის მობილიზებული. ამასთან, დასუფთავების ღონისძიებებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა მნიშვნელოვანი თანხები. ამდენად, ამ სფეროში შემოსავლების მობილიზაციისათვის მუნიციპალიტეტს მუშაობა არსებითად აქვს გასაუმჯობესებელი;

202 ათასი ლარი - მიწის იჯაროდან შემოსავალი, პროგნოზირებულზე 17.0 ათასით მეტი;

432.4 ათასი ლარი - დეპოზიტებიდან შემოსავალი, პროგნოზირებულზე 7.4 ათასი ლარით მეტი;

1,102.7 ათასი ლარი - ჯარიმებიდან შემოსავალი, პროგნოზირებულზე 102.7 ათასი ლარით მეტი.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 8,200.0 ათას ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 8,347.2 ათასი ლარი ანუ 147.2 ათასი ლარით მეტი.

2019 წელს გრანტები გათვალისწინებული იყო 21,228.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 20,264.9 ათასი ლარი. აქედან:

1,649.5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერი მიღებული იქნა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად;

18,615.4 ათასი ლარი გამოიყო სახელმწიფო ფონდებიდან, მთავრობის განკარგულებების შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით და ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით.

თვითმმართველობის ქვემდებარე, საკუთარი შემოსავლების მობილიზაციისათვის მუნიციპალიტეტის მერია კვლავაც გაატარებს დამატებით ღონისძიებებს საკუთარი შემოსავლების რეზერვების გამოსავლენად და არსებულის ადმინისტრირების გაუმჯობესებისათვის პრაქტიკული წინადადებების შესამუშავებლად.

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული მაჩვენებელი მთლიანობაში 2019 წელს პროგნოზირებული იყო 73,260.9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეადგინა 62,508.5 ათასი ლარი ანუ 85.3 პროცენტი. გადასახდელების სრული მოცულობით დაუფინანსებლობა განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მთლიანობაში აუთვისებლობით, რაც გამოწვეულია რიგი გარემოებით, მათ შორის: გარდამავალი ხელშეკრულებების და შესაბამისად სამუშაოების მიმდინარე 2020 წელს დამთავრების მიზეზით, რიგი სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობით, ასევე დამთავრებულ სამუშაოებზე შესრულების სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობით, რომლის გარეშე მიუხედავად რესურსების არსებობისა თანხების გამოყოფა ბიუჯეტიდან დაუშვებელია.

ცალკეული სფეროების და მხარჯავი სუბიექტების მიხედვით, ბიუჯეტის შესრულება იძლევა შემდეგ სურათს:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე პროგნოზით გათვალისწინებული იყო 8,767.8 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8,671.9 ათასი ლარი ანუ 95.7 ათასი ლარით ნაკლები.

საკრებულოს აპარატის შენახვაზე გამოიყო 1,315.6 ათასი ლარი. მერიის სამსახურების და ტერიტორიული ორგანოების შენახვაზე 6,128.8 ათასი ლარი, გათვალისწინებულზე 70.0 ათასი ლარით ნაკლები.

სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გამოიყო 242.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის საკუთარი ხარჯების მხოლოდ 0.6 პროცენტს შეადგენს.

სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყოფილ იქნა შემდეგი დანიშნულებით:

47.1 ათასი ლარი ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი აგროკომბინატის საერთო საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად;

30.0 ათასი ლარი - მაწანწალა და უზედამხედველო ძაღლების იზოლირების და თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების დაფინანსებისათვის;

0.4 ათასი ლარი - სს „თი ბი სი ლიზინგისგან“ მიღებული „BOGDAN“-ის მარკის 10 ერთეული ავტობუსის და შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს განკარგულებაში არსებული, ასევე „BOGDAN“-ის მარკის 9 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების

(ავტობუსი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელზე დარეგისტრირებისათვის ტექნიკური მახასიათებლების დადგენის მომსახურების შესყიდვისათვის;

1.7 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო პროფილაქტიკური კვლევების მიზნით ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლის“ მიერ საქველმოქმედო აქციის ჩატარების ხელშეწყობისათვის;

7.8 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოდან ველური ცხოველების ინდივიდების ამოღების ღონისძიების დაფინანსებისათვის;

4.8 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეწარმავლების, მწერების და მღრღნელების სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის;

15.6 ათასი ლარი - სტიქიის შედეგად დაზარალებულ 25 ოჯახზე ფინანსური დახმარებისათვის;

1.1 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯანაშიას ქუჩაზე არსებული სანიაღვრე და საკანალიზაციო მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის;

3.2 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, ღურჭკაიას და გამსახურდიას ქუჩების მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის ჭაბურღილების დაღრმავების პროექტის შესყიდვისათვის;

3.0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული 6 ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის;

1.9 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახის ფინანსური დახმარებისათვის;

21.0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი „ენგურის ქალაქის კომბინატი“-ს ეზოში დაზიანებული ცენტრალური საკანალიზაციო მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებისათვის;

0.9 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების სამედიცინო პროფილაქტიკური კვლევების მიზნით სს კლინიკა „ჯერარსის“ ბავშვთა კარდიოქირურგიის დეპარტამენტის მიერ საქველმოქმედო აქციის ჩატარების ფინანსური ხელშეწყობისათვის;

2.0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მოწყობილი საზოგადოებრივი საპირფარეშოს, ელ. მომარაგების გამანაწილებელ ქსელზე და წყალმომარაგების სისტემაზე

ახალ მომხმარებლად მიერთებისათვის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი საფასურის ასანაზღაურებლად;

0.1 ათასი ლარი - ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში წმინდა ნინოს ქუჩაზე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოწყობილი გარე განათების სისტემის ელ. მომარაგების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის ანაზღაურებისათვის;

12.1 ათასი ლარი - ქ. ზუგდიდში, ბერიას ქუჩა №4-ში მდებარე №2 საბავშვო ბაღის ელ. მომარაგების კვანძის გამანაწილებელ ქსელზე და წყალმომარაგების სისტემაზე ახალ მომხმარებლად მიერთების საფასურის ასანაზღაურებლად;

2.7 ათასი ლარი - 2019 წლის 20 ოქტომბერს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მიწვეული ზუგდიდელი პოეტის გამგზავრებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულადი დახმარების გასაცემად;

3.5 ათასი ლარი - ქ. ზუგდიდში, ბერიას ქუჩა №4-ში მდებარე №2 საბავშვო ბაღის, ბუნებრივი გაზის გარე ქსელის მოწყობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისათვის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი საფასურის ასანაზღაურებლად;

1.5 ათასი ლარი - სტიქიის შედეგად დაზარალებული 2 ოჯახის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის;

65.5 ათასი ლარი - ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში თეთრი გიორგის ქუჩის პირველი შესახვევი, ჩიხი №5-ში მდებარე ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად;

0.3 ათასი ლარი - ქ. ზუგდიდში თეთრი გიორგის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაზიანებული წყლით ადამიანების ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის გამო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებისათვის;

2.0 ათასი ლარი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ეროვნული მოძრაობის ღვაწლმოსილი პიროვნების რეზო ხასიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით რიტუალური ხარჯების ასანაზღაურებლად;

9.8 ათასი ლარი - სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის თანამშრომლების ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის;

5.0 ათასი ლარი - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის საჯარო სკოლაში, დაზიანებული კანალიზაციის შედეგად დაზიანებული მასის ამოტუმბვის ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე სსიპ ქალაქ ზუგდიდის №9 საჯარო სკოლისთვის ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში პროექტორის და დინამიკის შესაძენად.

წინა პერიოდში აღებულ ვალდებულებებზე, მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით განხორციელებული პროექტების სასესხო ვალდებულებათა გადასახდელი თანხა გრაფიკის მიხედვით გადარიცხულია სრულად და შეადგინა 1,227.5 ათასი ლარი.

თავდაცვის სფეროში

სამხედრო სამსახურის შენახვაზე, მიწერისა და გაწვევის ხარჯებზე გათვალისწინებული იყო 220.0 ათასი ლარის გამოყოფა. ფაქტიურად ამ დანიშნულებით გამოყოფილ იქნა 214.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში აღნიშნული თანხა ხმარდებოდა წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, მიწერის და გაწვევის სამედიცინო გამოკვლევასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ზემოთხსენებული ხარჯები დაფინანსდა დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ასიგნების 60.8 პროცენტი 44,565.7 ათასი ლარი გათვალისწინებული იყო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე. საკასო შესრულებამ ამ კუთხით შეადგინა 36,200.2 ათასი ლარი.

2019 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ფინანსდებოდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან, მიიმართა 19,725.4 ათ. ლარი, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით მოსარგებლე არის 65000 -ზე მეტი ადამიანი.

პროექტები განხორციელდა და თანხები მიიმართა შემდეგი დანიშნულებით:

ა) 7,925.8 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისთვის, მათ შორის:

1. ჩხოუმის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 462.8 ათასი ლარი;
2. ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 371.8 ათასი ლარი;
3. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საავადმყოფომდე მისასვლელი გზისა და ზაურ თოდუას ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისთვის 836.0 ათასი ლარი;

4. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 512.3 ათასი ლარი;
5. ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 286.3 ათასი ლარი;
6. ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღმარანის გზის რეაბილიტაციისთვის - 921.6 ათასი ლარი;
7. აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის - 833.5 ათასი ლარი;
8. ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში საბეჭვაიოს გზისა და ნარაზენი-შამადელას გზის რეაბილიტაციისთვის 993.8 ათასი ლარი;
9. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 592.8 ათასი ლარი;
10. ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისთვის 738.3 ათასი ლარი.

ასევე, ორსანტია-დარჩელის, ახალაბასთუმნის, ალერტკარის (გრიგოლიშის), ოდიშის, ურთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის რეაბილიტაციისთვის გახარჯულია სულ 1,376.6 ათასი ლარი;

ბ) 506.8 ათასი ლარი წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისთვის, მათ შორის:

1. ბოტანიკური ბაღის ტბისა და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისთვის 422.0 ათასი ლარი;
2. ჩხორიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობისთვის 82.6 ათასი ლარი;
3. აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების მოწყობის დამატებითი სამუშაოებისათვის 2.2 ათასი ლარი;

გ) ხიდების რეაბილიტაციისთვის გახარჯულია 743.4 ათასი ლარი;

დ) სანიაღვრე არხების მოწესრიგებისათვის 4.2 ათასი ლარი;

ე) ქ. ზუგდიდში სოხუმის, თამარ მეფის, შალვა ქირიას, თაბუკაშვილის ქუჩებზე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის 1,250.1 ათასი ლარი, ხოლო მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციისთვის 194.2 ათასი ლარი;

ვ) საბავშვო მოედნების მოწყობის სამუშაოებზე გახარჯულია 145.3 ათასი ლარი;

ზ) ჭავჭავაძის ქუჩაზე ვეტერანთა ხეივნის მოწყობაზე დახარჯულია 247.8 ათასი ლარი;

თ) ქვის დეკორატიული საყვავილეებისა და ქ. ზუგდიდში ურბანული ფუნქციის შესყიდვაზე გახარჯულია 114.0 ათასი ლარი;

ი) ყინულის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გახარჯულია 369.7 ათასი ლარი;

კ) 2019 წელს პერიოდულად სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე გაიხარჯა სულ 1,814.6 ათასი ლარი;

ლ) ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კაფე-რესტორნების რეაბილიტაციას მოხმარდა 481.1 ათასი ლარი;

მ) ანაკლია-განმუხურის ბულვარისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციას მოხმარდა 871.0 ათასი ლარი;

ნ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას მოხმარდა 925.8 ათასი ლარი;

ო) საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობას მოხმარდა 323.3 ათასი ლარი;

პ) მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში საექიმო ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 478.3 ათასი ლარი;

ჟ) მუნიციპალური ავტოპარკის განახლების მიზნით (ავტობუსების შეძენა) დახარჯულია 3,330.0 ათასი ლარი.

რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე 2019 წელს მიიძარდა 2,120.6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის ხაზით გამოიყო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 544.4 ათასი ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 269.2 ათასი ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე 88.0 ათასი ლარი, სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 205.3 ათასი ლარი.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის პროგრამული ხარჯებისათვის გამოიყო 1,622.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში კომუნალური ინფრასტრუქტურაზე ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყო 6,298.8 ათასი ლარი, აქედან ძირითადი თანხა 4,720.0 ათასი ლარი მიიძარდა

დასუფთავების პროგრამაზე, მათ შორის შრომის ანაზღაურების ფონდის მუხლით გამოიყო 3,088.4 ათასი ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი „ზუგდიდასუფთავების ცენტრის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით იმ შეფასებითი - ინდიკატორული მაჩვენებლებით, რომლის მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობას და ეკონომიკის სექტორს პროცენტულად თუ რა მასშტაბით და ხარისხით მიეწოდება ნარჩენების მართვის და მომსახურების სერვისი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ამ მაჩვენებლით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საქართველოში. ამას ადასტურებს შემდეგი მონაცემები:

1. მომსახურების სერვისი მიეწოდება ქალაქში 475 ქუჩაზე მცხოვრებ 13100-ზე მეტ ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100%-ს;
2. მუნიციპალიტეტში ასევე 100%-ით მიეწოდება მომსახურების სერვისი 850 საჯარო და კომერციულ ობიექტს;
3. მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები, როცა ბოლო წლებში ქალაქსა და სოფლებში ასეთი ტიპის 72 ნაგავსაყრელი ირიცხებოდა;
4. გასულ წელს აქტიურად მიმდინარეობდა მზადება 2020 წლისათვის ნარჩენების დახარისხებული (სეპარირებული) შეგროვების, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების და მყარი ნარჩენების რეციკლირების ანუ გადამუშავებაში დაბრუნება-რეალიზაციისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირდა ნაგავსაყრელებში განთავსებული-გადაყრილი ნარჩენების მოცულობა;
5. მუნიციპალიტეტში არსებული ნაგავსაყრელების ბაზაზე უმოკლეს პერიოდში დაიწყება ახალი, თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც განხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ და ამ დანიშნულებით გამოყოფილია 15.0 მილიონი ევრო. ამ პროექტით გათვალისწინებულია დასუფთავების პროგრამის ხაზით მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას მოჰყვება მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის თვისებრივად მაღალ ხარისხზე გადასვლა.

2019 წელს „ზუგდიდასუფთავების ცენტრის“ მიერ პრაქტიკულად შესრულებული სამუშაოები იძლევა შემდეგ სურათს:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია სულ 29.0 ათასი ტონა (დაახლოებით 102 ათასი მ³) მუნიციპალური მყარი ნარჩენი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიიდან 20.8 ათასი ტონა (დაახლოებით 73.0 ათასი მ³), სასოფლო - ტერიტორიული ერთეულებიდან 8.2 ათასი ტონა (დაახლოებით 28.8 ათასი მ³). ყოველდღიურად, საშუალოდ ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 78 ტონა (275 მ³)- ზე მეტი მყარი

მუნიციპალური ნარჩენი. ყოველდღიურად ქალაქსა და სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულებში საშუალოდ იგვებოდა 50-55 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 40 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 15 ჰექტარი;

კარდაკარ შემოვლით ხორციელდებოდა მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა ქალაქის 475 –ზე მეტი ქუჩიდან და 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულის დაახლოებით 1440 ქუჩიდან. კარდაკარ შემოვლას ემსახურებოდა 18 სატვირთო ავტომანქანა 27 მტვირთავით. წლის განმავლობაში ყოველდღიური და ყოველკვირეული მომსახურეობა გაეწია 670- ზე მეტ კერძო მეწარმეს, 46 სახელმწიფო დაწესებულებას, 62 საჯარო სკოლას, 65 დანარჩენ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სულ 847 ობიექტს. ასევე სისტემატიურად გაიზიდებოდა ნარჩენები ადგილნაცვალ პირთა ჩასახლების ადგილებიდან.

ყოველდღიურად სუფთავდებოდა დადიანების სასახლის წინ მდებარე სკვერებისა და ბოტანიკური ბაღის ტერიტორია, ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორია, ყოფილი ენგურის ქალაქის კომბინატის დასახლება, ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი, საჯარო რეესტრის სამსახურის ახალი შენობის მიმდებარე ტერიტორია, მთელი წლის განმავლობაში, საჭიროებისდა მიხედვით მომსახურეობა ეწეოდა ზუგდიდში მშენებარე საკათედრო ტაძარს. დასუფთავების ცენტრის მიერ გაიზიდებოდა მერიის კეთილმოწყობის სამსახურების მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ წარმოშობილი მყარი ნარჩენები.

სისტემატიურად ხდებოდა მყარი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ყველა სასაფლაოდან როგორც ქალაქში, ასევე სოფლად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ააიპ „კეთილმოწყობის ცენტრი“. აღნიშნული პროგრამით, 2019 წლის განმავლობაში ასიგნებულ იქნა 4,629.1 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2,215.4 ათასი ლარი, ტექნიკის მოვლა-შენახვასა და ექსპლოატაციაზე - 202.4 ათ. ლარი, გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებაზე - 913.4 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 46.5 ათასი ლარი, გარე განათების სისტემის მონტაჟზე - 73.5 ათასი ლარი, დეკორატიული ხე-მცენარეების და ჩითილების შესყიდვაზე - 11.9 ათასი ლარი; მიღებულია საკუთარი შემოსავლები 147.4 ათასი ლარი, რომელიც გახარჯულია სხვადასხვა სახის სამონტაჟო სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობით სამუშაოებზე.

საანგარიშო პერიოდში აგრეთვე ასიგნებები მიმართული იყო ახალი მატერიალური აქტივების გადიდებისათვის, რის შედეგადაც ჯამში არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 229.3 ათასი ლარი.

გასულ წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრი უზრუნველყოფდა გარე განათების სრულყოფილად ფუნქციონირებას, ახორციელებდა მის სარეაბილიტაციო-სამონტაჟო და აღდგენით სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ გარე განათების სისტემის 7000 ბოძზე გამოიცვალა და დამონტაჟდა ახალი დიოდური ნათურები, რის შედეგადაც გახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება შემცირდა 30%-ით.

ასევე, მუნიციპალიტეტის მორთვა-გალამაზების ღონისძიებებზე, კერძოდ საახალწლო-სადღესასწაულო გასანათებელი დეკორაციების შესასყიდად ცენტრის მიერ მიმართული იქნა 97.0 ათასი ლარი.

ცენტრის ძალებით, გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესებისათვის, ტარდებოდა დეკორატიული მარადმწვანე და ფოთლოვანი ხე-მცენარეების ჩანაცვლებით დარგვა, ასევე გამწვანების ზოლების, სკვერების, პარკების სარეკრეაციო მოწყობა. ამ დანიშნულებით გასულ წელს შეძენილი იქნა 104.0 ათასი ლარის ძვირადღირებული და მცირეფასიანი დეკორატიული ხე-მცენარეები და ჩითილები.

ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შესაქმნელად ტარდებოდა ღონისძიებები მწვანე ზოლების, სკვერების, გაზონების დაცვის, მოვლა-პატრონობის, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობის, არსებული მწვანე საფარის უსაფრთხოდ შენარჩუნებისათვის.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაო მეურნეობათა მოწყობა, მოვლა-პატრონობა, შემოღობვა, გასასვლელებისა და ბილიკების მოხრეშვა, დასუფთავება, უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა. გასულ წელს, სასაფლაო მეურნეობათა კაპიტალური კეთილმოწყობის (შემოღობვა) სამუშაოებზე გახარჯულ იქნა 60.2 ათასი ლარი.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო 174.3 ათასი ლარი. აქედან 134.1 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე, პროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან გამომდინარე გასულ წელს შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები. კერძოდ:

წლის განმავლობაში ხდებოდა ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შესწავლა, განხორციელდა ხე-მცენარეების და ბუჩქების ზოგადი აღწერა. დადგინდა, რომ 2019 წლის მონაცემებით ცენტრალური (ზუგდიდის) ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე იყო 5858 ერთეული მერქნიანი მცენარე.

რეკრეაციული ზონების გასაშენებლად ცენტრის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელების მიმდინარეობაში. დადგინდა მცენარეების ფაქტიური მდგომარეობა (დაზიანებული, დაავადებული, გამხმარი) გაკეთდა შესაბამისი დასკვნები, რის შედეგად კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხე-მცენარეების სანიტარული ჭრის, გადაბეღვისა და დაბჟენის შესახებ.

საჭიროებათა შესწავლისა და თანამშრომლების მოთხოვნით არაერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება რეაბილიტაციის პროექტში, რომელიც ეხებოდა ბაღის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების კონსერვაციას, რეაბილიტაციას და ადაპტირებას.

გასულ წელს ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და საველე ექსპედიციებში.

ივლისის თვეში ნანსის ბოტანიკური ბაღის დელეგაციასთან ერთად შედგა 2 დღიანი საველე ექსპედიცია მინგარიის მთაზე ენდემურ მცენარეთა სახეობების გაცნობისა და ჰერბარიუმების შეგროვების მიზნით. ასევე სექტემბრის თვეში ანალოგიური ექსპედიცია შედგა აშშ-ის მისურის ბოტანიკური ბაღის დელეგაციასთან ერთად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის სექტემბრის თვეში ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გახდა „მსოფლიო ისტორიული ბოტანიკური ბაღები“-ს ევროპის კავშირის წევრი.

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა წლებში, მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ სამგზავრო ტრანსპორტით სარგებლობასთან დაკავშირებული მგზავრობის ხარჯების შემსუბუქებას და გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხდებოდა მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის გაწეულ ხარჯებსა და მიღებულ შემოსავლებს შორის არსებული დეფიციტის შედეგად წარმოქმნილი ზარალის ნაწილობრივ შევსება. ამ დანიშნულებით 2019 წელს შპს „ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტ“-ს სუბსიდიის სახით გამოეყო 400.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა მგზავრობის ღირებულება.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო რიგი ღონისძიებების გატარება მუნიციპალური ტრანსპორტის საქმიანობის გასაუმჯობესებლად, რომელიც მიზნად ისახავდა სამგზავრო ავტოპარკის განახლებისა და გაფართოების, მგზავრობიდან შემოსავლების გადიდებისა და ზარალიანობის მაქსიმალურად შემცირების უზრუნველყოფას. ამ ღონისძიებათა ერთ-ერთი პოზიტიური შედეგია ის, რომ გასული წლის ზაფხულში მუნიციპალური სამგზავრო ავტოპარკი შეივსო 15 ერთეული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ISUZU-ს მარკის ახალი ავტობუსით, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ავტოსატრანსპორტო მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლებას.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ხელშეწყობაზე გამოიყო 675.2 ათასი ლარი, რომელიც ახორციელებს ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონაში არსებული სანაპირო ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას და განახლებას.

სანაპირო ბულვარის გამწვანების ზოლში დამატებით დაირგო 495 ხე-მცენარე, ასევე შესრულდა არსებული ხე-მცენარეების სხვადასხვა სახის მოვლითი სამუშაოები, ჩატარდა სანაპირო ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი, მწვანე საფარი შეიწამლა შხამქიმიკატებით, მცენარეები გამოიკვება მინერალური სასუქებით, განხორციელდა სანაპირო ბულვარის გარე განათებების, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის ელექტრომომარაგების და განათების სისტემის რეაბილიტაცია, ასევე ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის ფეხბურთისა და ქვიშის ფრენბურთის მოედნების, მინიფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობის სამუშაოები. მარტო აღნიშნულ ღონისძიებებზე გახარჯული იქნა 160.0 ათას ლარზე მეტი თანხა.

აგრეთვე განხორციელდა საპროექტო-საინჟინრო ღონისძიებებთან დაკავშირებული სამუშაოები, რომელიც ეხება სანაპირო ბულვარის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის 2012-2015 წლებში შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში ცვლილებების შეტანასა და გადაანგარიშებებს, რაზეც გაიხარჯა 25.0 ათასი ლარი. აგრეთვე აღნიშნული ღონისძიებები მოიცავდა განმუხურის ამფითეატრის სცენის გადახურვითი ნაწილის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვას, რაზედაც გადახდილი იქნა 80.0 ათასი ლარი.

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI REASORTS“-ის მართვა-გამგებლობაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას, მიმზიდველი ტურისტული და საინვესტიციო გარემოს შექმნას გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი სჭირდება. ამიტომ გარკვეული პროცედურების განხორციელებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას საკუთარი შემოსავლების ბაზის გაფართოება და ფულადი თანხების მობილიზაცია.

შ.პ.ს. „ზუგდიდაგროსერვისი“ 2019 წლის განმავლობაში ახორციელებდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითმმართველობის კუთვნილებაში არსებული ქარსაფარი ზოლების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობასა და დაცვას, სოფლის მეურნეობის დარგში აგროსერვისის მიწოდების მიმართულებით მუნიციპალურ პროგრამებსა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2019 წლის განმავლობაში გამოიყო დაფინანსება 206.4 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 182.8 ათასი ლარი, შტატგარეშეს ანაზღაურებაზე - 2.4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები შეადგენს - 21.2 ათასი ლარს.

წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით დარგის ექსპერტები პერიოდულად სოფლებში, საველე პირობებში ხვდებოდნენ ფერმერებს და აწვდიდნენ ინფორმაციას ერთწლიანი/მრავალწლიანი კულტურების მოვლა-პატრონობის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ, გასცემდნენ რეკომენდაციებს/რჩევებს შეწამვლითი სამუშაოების აგროვადებზე, გამოსაყენებელ პრეპარატებზე/ინსექტიციდებზე, მათ უსაფრთხო გამოყენებასა და სხვა მიმდინარე სიახლეებზე. ამასთან წლის განმავლობაში „ზუგდიდაგროსერვისის“ თანამშრომლები მონიტორინგს უწევდნენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ააიპ „სურსათის უვნებლობის სააგენტოს“ მიერ

განხორციელებულ შეწამვლით სამუშაოებს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფარგლებში. შეწამვლითი სამუშაოებისა და ასევე მოსახლეობის და ფერმერების მიერ გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად შესამჩნევად შემცირდა აზიური ფაროსანას პოპულაცია.

განათლების სფეროში

2019 წელს განათლების სფეროს დაფინანსებაზე მიიმართა 9,625.1 ათასი ლარი, აქედან საბიუჯეტო ასიგნების 56.1% ანუ 5,403.5 ათასი ლარი მოხმარდა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნული პროგრამის მიზანი და დანიშნულებაა სკოლამდელი აღზრდის, განათლების ხარისხის ამაღლება და სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცება და ინფრასტრუქტურის განვითარება, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 2019 წელს ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 62 სკოლამდელი დაწესებულება, აქედან 17 ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, 45 კი სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა კონტიგენტი შეადგენს 4075 ბავშვს, გახსნილია 154 სააღმზრდელო ჯგუფი, 719 სამტატო ერთეულზე დასაქმებული იყო 840 თანამშრომელი.

გასული საფინანსო წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3,456.7 ათასი ლარი, კვების ხარჯების ანაზღაურებაზე 1,042.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე 242.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯებზე (კვების გარდა) 627.2 ათასი ლარი.

2019 წლის ნოემბრიდან, მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა 775 პედაგოგსა და მომსახურე პერსონალს ადგილპირივი ბიუჯეტის სახსრებით გაეზარდა ხელფასის განაკვეთი 15-20%-ის ფარგლებში, თანხობრივად საშუალოდ 60-100 ლარის ოდენობით. ხელფასის მატებამ თვითურად შეადგინა 45.0 ათასი ლარი.

სკოლამდელი დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ჭკადუაშის, ურთის, კორცხელის, ჩხორიის, ცაცხვის, ჯიხაშკარის, ყულიშკარის, დიდინემის, ერგეტის, ხურჩის, ნარაზენის №1, ნარაზენის №2, ჭაქვინჯის №2, ტყაიას, განმუხურის, ჩხოუმის, ინგირის №1, ინგირის №2, ქ. ზუგდიდის №3 და №6 საბავშვო ბაღებში, რომლის მთლიანმა ღირებულებამ თანხობრივად შეადგინა 237.8 ათასი ლარი.

ამასთან განხორციელდა ქალაქ ზუგდიდის №10, №15, №16, აგრეთვე ინგირის №1, რიყისა და ნაცატუს საბავშვო ბაღების გაზიფიკაცია; აღნიშნულ სამუშაოებზე მიიმართა 5.5 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებანი მთლიანობაში ვერ აკმაყოფილებს სკოლამდელი დაწესებულებების ახალ სტანდარტებზე გადასვლისათვის საჭირო მოთხოვნილებებს, რისთვისაც მიმდინარე და შემდგომ საბიუჯეტო წლებში გატარდება სათანადო ღონისძიებები, ამ მიზნით დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაციისათვის.

საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სკოლების სარემონტო-სარეაბილიტაციო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებზე მიიმართა 434.8 ათასი ლარი. გასულ წელს აღნიშნული პროგრამით, სკოლების მცირე და საშუალო მასშტაბის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების კუთხით განხორციელდა 48 სხვადასხვა პროექტი, კერძოდ ჭითაწყარის; კორცხელის; ცაიშის; ნარაზენის; ჭაქვინჯის; ოდიშის №2; ქალაქის №2, №7, №9, №10 და №11; ახალაბასთუმნის; ახალკახათის; ალერტკარის; ტყაიას; ყულიშკარის; განმუხურის; ერგეტის; ჩხორიის; ინგირის №1; რუხის; დიდინემის; კახათის №1; ახალსოფლის, ინგირის №2 და აფხაზეთის №1 საჯარო სკოლებში. განხორციელებული პროექტების ღირებულებამ მთლიანობაში შეადგინა 189.7 ათასი ლარი.

ზედაეწერის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას მოხმარდა 217.1 ათასი ლარი.

ამასთან შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტების დასაფინანსებლად, კონკურსებში გამარჯვებული და წარმატებული (მედალოსანი) მოსწავლეების დასაჯილდოებლად მიიმართა 28.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს დელეგირების სახით გადაეცა ზუგდიდის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება. გასულ წელს აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მიმართული იქნა 1,130.3 ათასი ლარი.

ასევე დელეგირებული თანხებით, ზემოაღნიშნული განკარგულების საფუძველზე 24 საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე, ძირითადად კომუნალური ინფრასტრუქტურის (გათბობა, სველი წერტილები, სახურავები და სხვა) მოწყობა-გაუმჯობესებაზე, გამოყოფილი იყო 1,500.0 ათასი ლარი. ფაქტიურად მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლაში ზემოხსენებული შესრულებული სამუშაოების მიხედვით მიიმართა 1,277.0 ათასი ლარი, დარჩენილი თანხა ნაშთად აისახა 2020 წლისათვის.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოიყო 71.2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ:

- განსაკუთრებით წარმატებულ 35 სტუდენტს დაენიშნა მერის სტიპენდია, რისთვისაც მიიმართა 39.7 ათასი ლარი;
- უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით მგზავრობის და სასკოლო-სავარჯიშო მასალების საფასური დაუფინანსდა 28 ახალგაზრდას.

სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელ ა(ა)იპ-ში გაერთიანებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე; N1 და N2 სამუსიკო, საგუნდო-სამუსიკო და სამხატვრო სკოლები. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად წლის განმავლობაში გამოყოფილ იქნა 949.5 ათასი ლარი, აქედან ძირითადი 832.7 ათასი ლარი მიიმართა შრომის ანაზღაურებაზე. ამასთან, 137.2 ათასი ლარი საკუთარი სახსრებიდან მიმართულია სხვადასხვა ღონისძიებებზე.

წლის განმავლობაში ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ 170-მდე ღონისძიებაში და მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, რომელიც ყოველთვიურად ტარდება და საჯარო სკოლების 24 გუნდი მონაწილეობს;
- სასახლის უმცროსკლასელთა კლუბის ინტელექტუალური თამაში „ჭკუის კოლოფი“, რომელიც ყოველთვიურად ტარდება და საჯარო სკოლების 18 გუნდი მონაწილეობს;
- ინტელექტუალური თამაში „ყველაზე ჭკვიანი“;
- 5-6 ოქტომბერს, მესტიის №1 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის მიერ ერთობლივად ჩატარდა კონფერენცია „ნორჩი მკვლევარი 2019“ თემაზე - „ფოლკლორი, მეღვინეობა, მევენახეობა და სუფრის ტრადიციები საქართველოში“, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეების დაინტერესებას ჩვენი ქვეყნის კულტურით;
- ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის შტატში გაიმართა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „მსოფლიოს ვარსკვლავი“, რომელშიც 66 ქვეყნის წარმომადგენელს შორის, ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლის ანსამბლ „გინცის“ წამყვანი სოლისტი თამარ ლილუაშვილი მონაწილეობდა. თავისი უზადო საშემსრულებლო ხელოვნებისა და უნიკალური ვოკალური მონაცემების წყალობით ის ხუთ ფინალისტს შორის მოხვდა და „მსოფლიო ჩემპიონის ვარსკვლავი Wcopa 2019“ გახდა;
- აგრეთვე ნიუ-იორკის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურს-ფესტივალზე „ნიუ-იორკის მარგალიტი 2019“ ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლის ანსამბლ „გინცის“ წამყვანი სოლისტი თამარ ლილუაშვილი 7 ქვეყნის წარმომადგენელს შორის გრანპრისა და I ადგილის მფლობელი გახდა. მიიღო მიწვევა იტალიასა და ლატვიაში;
- ბაქოში ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და ქალაქ ყუბის ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის ერთობლივ საერთაშორისო ფესტივალზე „კავკასიის ცეცხლი“, სასახლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა

„იგრიკა“ საქართველოს ღირსეულად წარმოჩენისა და აქტიური მონაწილეობისათვის სერთიფიკატი დაიმსახურა.

- ბათუმში V საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „Wonderland“ From Georgia with love 2019“ სასახლის დრამატული წრის „შთამომავლების“ სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ (დავით კლდიაშვილის კომედიის მიხედვით) I ადგილის მფლობელი გახდა;
- ერევანში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „Armenian Global Art- Fest“ სასახლის დრამატული წრე- „შთამომავლები“, სპექტაკლით „ჰელადოსი“ (ნ. დუმბაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით) I ადგილისა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა;
- ერევანში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „Armenian Global Art- Fest“ სასახლის კვარტეტი „ფენიქსი“ I ადგილის და ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ.

სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დედის დღისადმი, ქალთა საერთაშორისო დღისადმი, ბავშვთა უფლებების დაცვის და გიორგობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტებში.

სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 5 გამოფენასა და რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში, მათ შორის აღსანიშნავია:

- საერთაშორისო ფესტივალი ყაზბეგში, მონაწილეობდა 7 მოსწავლე. მოსწავლეები დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით;
- საერთაშორისო ფესტივალი კაპადოკიაში, მონაწილეობდა 4 მოსწავლე, რომლებიც დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით;
- საანგარიშო გამოფენა (II ს/სკოლის წინ), სადაც მოსწავლეებმა გამოფინეს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები. მონაწილეობდა 100-მდე მოსწავლე.

საგუნდო -სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს და წარმატებას მიაღწიეს ისეთ აქტივობებში, როგორცაა:

- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი;
- ქუთაისში ჩატარებულ კლასიკური მუსიკის (ხელოვნების) რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“;
- ქ. თბილისში ჩატარებულ „მომავლის ვარსკვლავები“ _ს გალა-კონცერტში;
- თბილისში საქართველოს პროფკავშირულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის მიერ ჩატარებულ ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის XII რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალში „იპოვე შენი ვარსკვლავი“;
- ბათუმის საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „ოქროს დელფინი“, ხალხურ-საკრავთა ანსამბლი გრან-პრის მფლობელი გახდა;

- სვანეთში, დაბა მესტიაში სეტის მოედანზე ჩატარებულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-გამოფენაში;
- ბორჯომში კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა-მუსიკოს შემსრულებელთა I საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2019 საბიუჯეტო წელს გამოიყო 4,289.7 ათასი ლარი, რომელიც მიიღარტა კონკრეტული პროგრამების მიხედვით, აქედან: სპორტის განვითარების პროგრამის დაფინანსებაზე, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „სპორტის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე, გამოიყო 1,307.4 ათასი ლარი, რომელიც ხარჯების ძირითადი მუხლების მიხედვით მიიღარტა შრომის ანაზღაურებაზე 752.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 551.8 ათასი ლარი, მათ შორის სპორტულ ღონისძიებაზე 40.9 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის - 316.2 ათასი ლარი, მივლინების ხარჯებისთვის 42.4 ათასი ლარი, კვებაზე გაიხარჯა - 46.2 ათასი ლარი, სატრანსპორტო მომსახურებასა და საწვავზე 25.1 ათასი ლარი.

საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად გამოყენებამ გარკვეული პოზიტიური გავლენა იქონია სპორტული ღონისძიებების ეფექტიანობასა და სპორტსმენთა განსაკუთრებით მაღალი შედეგების მიღწევაზე.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტის 20-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის: კრივი, ძიუდო, მძლეოსნობა, ძალოსნობა, კარატე-დო, თ/ჭიდაობა, კიკბოქსინგი, სამბო, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, მინი ფეხბურთი, რაგბი, ტანვარჯიში, გეზრბენი.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 84 სპორტსმენი, მათ შორის:

- საქართველოს პირველობასა და ჩემპიონატებში 49 სპორტსმენი;
- საერთაშორისო ტურნირებზე - 15 სპორტსმენი;
- ევროპის პირველობაზე - 11 სპორტსმენი;
- მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა - 2-მა სპორტსმენმა: ჩინეთში გამართულ კიკბოქსინგის ჩემპიონატზე დავით ქირიამ და ფიჯიში გამართულ ძალოსნობის ჩემპიონატზე - ირაკლი ჩხეიძემ;
- საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი გახდა - 7 სპორტსმენი.

ა(ა)იპ. "სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს საჭადრაკო სასპორტო სკოლა "ნონა"-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 30-მდე გასვლით თუ ადგილობრივ ღონისძიებაში. I, II და III ადგილის მფლობელი გახდა 28 მოჭადრაკე. აღსანიშნავია საჭადრაკო სკოლის მიერ გამართული ინტერნეტ-მატჩები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სენტ-ლუისის და ინდოეთის ქალაქ მუმბაის საჭადრაკო კლუბებთან. ამ მატჩებში გამარჯვება მოიპოვეს ზუგდიდელმა მოჭადრაკეებმა.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე მერიის შესაბამისი პროგრამიდან გამოიყო 78.3 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციის, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის აქტივობების დასაფინანსებლად. მათ შორის უნდა გამოიყოს ისეთი განხორციელებული ღონისძიებები და მათზე მიმართული ასიგნებები, როგორცაა:

- სპორტული კლუბების მხარდაჭერა, რისთვისაც გამოიყო 10.0 ათასი ლარი. აქედან ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ზუგდიდი“-ს განვითარებისა და სპორტული ზრდისთვის გაიცა ასიგნება 5.0 ათასი ლარი, ხოლო შპს „ამერიკული ფეხბურთის გუნდი ვესტერნ ბედ ბოიზი“-ს განვითარებისა და ზრდისთვის ასევე გამოიყო 5.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ „ამპუტანტი ფეხბურთელების გუნდი „ოდიში“-ს ფინანსური ხელშეწყობისთვის მიიმართა 34.0 ათასი ლარი;
- ალერტკარის საჯარო სკოლის სპორტსმენებისთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვას მოხმარდა 1.3 ათასი ლარი;
- ახალგაზრდული „მედია-კავშირი“-ს ორგანიზებით - „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ პროექტის ფარგლებში შშმ პირებისთვის სპორტულ-გასართობი ღონისძიებების მხარდაჭერაზე მიიმართა 4.8 ათასი ლარი;
- სპორტსმენთა წამახალისებელი და დაჯილდოების ფორმების გამოყენებისთვის ბეჭდურ მომსახურებაზე (სიგელები, დიპლომები, ბრენდირებული მაისურები და სხვ.) გამოიყო თითქმის 5.0 ათასი ლარი;
- განსაკუთრებით წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების ერთჯერადი ფულადი პრიზებით დაჯილდოებისათვის გაიცა 15.0 ათასი ლარი;
- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო მომსახურებაზე გაიხარჯა 8.1 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „საცხენოსნო კლუბ ხარება“-ს ამ სახეობის სპორტის განვითარების ფინანსური ხელშეწყობისთვის გამოიყო 43.0 ათასი ლარი.

აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სპორტის პოპულარიზაციისა და ახალგაზრდობის გონივრული გართობა-დასვენების თვალსაზრისით სხვადასხვა აქტივობები, რასაც მოხმარდა გარკვეული საბიუჯეტო თანხები.

მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან გამოიყო ასიგნება 65.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა მიიმართა იმ ძირითადი ღონისძიებებისა და აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფისათვის, როგორცაა:

- ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება და თანადაფინანსება;
- მუნიციპალურ ახალგაზრდულ-საგანმანათლებლო პროექტების ფინანსური მომსახურება;
- სოციალურ-საგანმანათლებლო მედია-პროექტ „ეტალონი“-ს ფორმატით საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშების მოწყობის მომსახურების შესყიდვა;
- ინტელექტუალურ-შემეცნებითი სახის კონკურსებში და სპორტულ აქტივობებში გამარჯვებული ახალგაზრდების წამახალისებელი ფასიანი საჩუქრების საფასურის ანაზღაურება;
- სხვადასხვა სახის ახალგაზრდული ღონისძიებებისა და აქტივობების ფარგლებში გაწეული სატრანსპორტო მომსახურების დაფინანსება.

საზოგადოების ფართო ფენებში პოზიტიური განწყობის შექმნის, კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების, საინტერესო იდეების ხელშეწყობის, დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბების მიზნით 2019 წელს კულტურული ღონისძიებების პროგრამით მიიმართა 141.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა გაიხარჯა შემდეგი ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაში, როგორცაა: დედის დღე, ქალთა საერთაშორისო დღე „მარტის თვეა შენი ...“, ქართული ჟურნალისტიკის დღე, აუტიზმის ცნობადობის ამალღების დღე, დედაენის დღე, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 1924 წლის აჯანყების მონაწილე დახვრეტილ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, 2015 წლის 13 ივნისს თბილისში სტიქიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული, ზუგდიდის მკვიდრი, მარიამ ქუთელიას ხსოვნის დღე, ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ჩელა“ 50 წლის იუბილე, ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაფუძნება. ცნობილი ქართველი კომპოზიტორებისა და მუსიკოსების ვაჟა აზარაშვილის, ვაჟა დურგლიშვილის, საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის და მსახიობ მედეა ლორთქიფანიძის იუბილისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოების, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის, საახალწლო და საშობაო დღესასწაულების საზეიმო აღნიშვნა, საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა დღის აღნიშვნა, სახალხო რელიგიური დღესასწაულის „ვლადკერნობა“ კულტურული მხარდაჭერა, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალის „კოლხი და ...“ დაფუძნება, უკრაინაში მოღვაწე ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და

დიპლომატის რაულ ჩილაჩავას შვიდწიგნეულის „ბედის ფორმულა“ წარდგენის შემოქმედებითი სადამო; ჩატარებულ ღონისძიებებსა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საყოველთაოდ აღიარებული პიანისტის, იუნესკოს მშვიდობის ელჩის ელისო ბოლქვაძის მეგა კონცერტი - „მუსიკა აერთიანებს“, რომელიც აფხაზეთის თემასა და მშვიდობიანი დიალოგის აუცილებლობას მიეძღვნა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის განხორციელებაზე გასულ წელს გამოყოფილ იქნა საბიუჯეტო ასიგნება 48.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არქეოლოგიური, ისტორიული, შემეცნებით-საგანმანათლებლო, სამეცნიერო ღონისძიებების, მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვის და რესტავრაციის, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლების განთავსების ღონისძიებებზე.

საანგარიშო პერიოდში თანხები გამოიყო ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსებაზე, როგორცაა:

- 14.9 ათასი ლარი ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მამულიშვილთა მარადიული ხსოვნის უკვდავსაყოფად მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის განთავსებაზე;
- 4.6 ათასი ლარი - ქ. ზუგდიდში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ ამსახველი მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) სარესტავრაციო-სამონტაჟო სამუშაოების მომსახურებაზე;
- 3.3 ათასი ლარი - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის 1924 წელს მოწყობილი აჯანყების აქტიური ორგანიზატორების, ქ. ზუგდიდის მკვიდრის ლეონიდე ხუბულავას და დარჩელის ადმინისტრაციული ერთეულის მკვიდრის ვარლამ ანჩაბაძის მემორიალური დისკრიფციული აბრების მოწყობა-განთავსების სამუშაოების მომსახურებაზე;
- 9.9 ათასი ლარი - 2019 წლის 20-21-22 სექტემბერს ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული კავკასიის ხალხთა მესამე საერთაშორისო ფოლკლორულ-ლიტერატურული ფესტივალის „ანაკლია-2019“-ის დაფინანსებაზე.

ამასთან საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტი და ფესტივალი, რისთვისაც გაიხარჯა თითქმის 6.0 ათასი ლარი.

რელიგიის ხელშეწყობის პროგრამაზე გამოიყო ასიგნება 160.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამოსტრო კომპლექსის მშენებლობის დანიშნულებით.

ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის სახლი ოდიშის, სამოყვარულო თეატრი ჩხორიას, ადგილობრივი მუზეუმების, სამხატვრო გალერეის ბაზაზე შექმნილი ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ, საანგარიშო პერიოდში გამოიყო 988.1 ათასი ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 924.6 ათასი ლარი, ოფისის ხარჯმა - 17.9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე დახარჯულმა თანხამ - 28.5 ათასი ლარი.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფუნქცია მრავალმხრივია და მოიცავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგის კულტურული სივრცის შექმნას; ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, ადგილობრივი მუზეუმების, ზუგდიდელ მხატვართა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა პოპულარიზაციასა და განვითარებას; მოსწავლე-ახალგაზრდობისა და დეაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენასა და ხელშეწყობას.

2019 წელს ცენტრის მიერ ჩატარდა 44 კულტურული ღონისძიება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეგიდით ლოტბარ პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ფოლკლორულმა ანსამბლებმა;
- სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ჩელა“-ს 50 წლის იუბილე და ცნობილი ხელოვანი ძმების - ლერი, ჯემალ და თამაზ მოსიების ვარსკვლავის გახსნა;
- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში, კოლხური ტრადიციული რეწვის თვრამეტი ზუგდიდელი ოსტატის ნამუშევრების გამოფენის გამართვა;
- პროექტი „ერთად ვიზიემოთ შობა-ახალი წელი“ - პროექტის ფარგლებში ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მუსიკალური სპექტაკლის „ყინულის დედოფალი სიკეთის სამყაროში“ ჩატარება და მუნიციპალიტეტის თემში საბავშვო ანსამბლების მონაწილეობით საახალწლო კონცერტების გამართვა;
- სამოყვარულო თეატრის (ჩხორიის ბაზაზე არსებული) მიერ სპექტაკლების პრემიერის ჩატარება;
- ცენტრის ბაზაზე არსებული ანსამბლების სოლო, საანგარიშო და გასვლითი კონცერტების, ასევე საქველმოქმედო, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების მოწყობა.

ამასთანავე, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი აქტიურად იყო ჩართული ყველა საქალაქო, ასევე საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებასა და კონკურს-ფესტივალში.

საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამაზე 2019 წელს გამოიყო 626.1 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა როგორც ძირითად საბიბლიოთეკო საქმიანობაზე, ისე არაფინანსური აქტივების გადიდებაზე. საანგარიშო პერიოდში წიგნადი ფონდი შეივსო თითქმის 14.0 ათასი ლარის ღირებულების ახალი ლიტერატურით.

ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი, თავისი სტრუქტურული ერთეულების (ცენტრალური ბიბლიოთეკა, საქალაქო ბიბლიოთეკის და სასოფლო ბიბლიოთეკის ფილიალები) ბაზაზე, წიგნითა და საინფორმაციო მომსახურებით უზრუნველყოფდა მომხმარებელთა ფართო მასებს ბეჭდური და ელექტრონული წიგნებით, აუდიო ჩანაწერებით; ახორციელებდა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას, ინფორმაციების მოძიებას, გაცემას, კომპიუტერულ მომსახურებას. აღსანიშნავია,, რომ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ კვირეულში დევიზით - „ბიბლიოთეკა, როგორც არაფორმალური გაანთლების ცენტრი“.

საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის სისტემაში მკითხველთა რაოდენობამ შეადგინა 13888 პირი, მათ შორის ცენტრალური ბიბლიოთეკით ისარგებლა 6918 მკითხველმა, სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებით 6098 პირმა. ამასთან ცენტრის საერთო საბიბლიოთეკო ქსელიდან მოხმარების მიზნით მკითხველებზე გაიცა 60633 წიგნი და ინფორმაცია.

ცენტრის ძალებით გასულ წელს ჩატარდა 82 სხვადასხვა ინტელექტუალური ღონისძიება. მოეწყო შეხვედრები პოეტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, მკითხველ საზოგადოებასთან; ჩატარდა ავტორების შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, წიგნის კვირეული, სხვადასხვა სახის თემატურ-შემეცნებითი ღონისძიებები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ჯანსაღი ცნობიერების ამაღლებას, წიგნიერების გაზრდას.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ბიუჯეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სოციალური სფერო და ჯანდაცვა.

2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისათვის მთლიანად გამოიყო 3,507.6 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი პროგრამებისა და ღონისძიებათა მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს:

ჯანდაცვის მომსახურებაზე დელეგირებული ფუნქციების განსახორციელებლად გამოიყო 285.8 ათასი ლარი. წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა 2019 წელს შემუშავებული გეგმებისა და საჭიროებების მიხედვით შეასრულა მნიშვნელოვანი სამუშაოები პროგრამებისა და მიმართულებების მიხედვით და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მონაცემთა რუტინული დამუშავება და ანალიზი, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა, ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალების მიღება-რეგისტრაცია და გაცემა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა-დადგენა, წყალსატევების პასპორტიზაცია, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციული ზომების გატარება, C ჰეპატიტის სკრინინგი ზოგად პოპულაციაში, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების საერთო საზედამხედველო კონტროლი და სხვა. ასევე, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ცენტრის მიერ განხორციელდა სტომატოლოგიურ კაბინეტებსა და ჰიგიენურ სახლებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარჩვევების დამკვიდრების ჯანდაცვითი კამპანიების ორგანიზება-წარმართვა, მუნიციპალიტეტის ჭრილში სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ორგანიზება და შესრულების ხელშეწყობა.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის ხაზით, ცენტრის მიერ სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დარეგისტრირებულ იქნა ინფექციური დაავადების 6633 შემთხვევა, აქედან აქტიური ფაზა დაუდასტურდა 41 პირს; ტუპერკულოზის ინფექციის კერებში 193 კონტაქტირებულ პირს ჩატარდა სკრინინგული კვლევა. აგრეთვე მართვადი ინფექციებიდან რეგისტრირებულია 279 შემთხვევა, მათ შორის წითელას 255 შემთხვევა, წითურას - 1, ყბაყურას - 4, ყვიანახველას - 28 შემთხვევა. გამოვლენილ კერებში ჩატარდა ეპიდკვლევა დაავადებულების იმუნიზაციის სტატუსის დადგენისათვის. მუნიციპალიტეტის 27 სამედიცინო დაწესებულებასა და სოფლის 29 ამბულატორიაში ჩატარდა 41 გეგმიური მონიტორინგი ეპიდზედამხედველობაზე.

ანტირაბიულ მომსახურებაზე ეპიდზედამხედველობის კუთხით, საანგარიშო პერიოდში შესაბამისი კლინიკებიდან მიღებული ინფორმაციით ცენტრში აღირიცხა ცხოველის მიერ დაკბენილ-დადორბლილი შემთხვევის 3209 შეტყობინება. ანტირაბიული მკურნალობა საერთოდ დაენიშნა 3668 პირს, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 943 პირს, პირობითი 2424 პირს.

იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის და განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის განკარგულების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის ბრძანების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში მყარი იმუნური ფონის შექმნის უზრუნველსაყოფად ცენტრის მიერ განხორციელდა სპეციალური 8 პუნქტიანი კომპლექსური ღონისძიება, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წითელას ეპიდაფეთქების შეკავებას და ინფექციური დაავადებათა საშიში კერების აღმოცენების რისკების პრევენციას. წითელას ეპიდემიის წინააღმდეგ გატარებულ ზომებთან ერთად, 2019 წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 3255 გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, მათ შორის რისკის პრიორიტეტულ ჯგუფებში 2271 ვაქცინაცია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, 2019 წელს ცენტრის მიერ ეპიდსეზონზე, რომელიც მოიცავს 7 თვეს, გატარდა მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებები, კერძოდ:

გამოკვლეული იქნა ანოფელოგენური წყალსატევები (მალარიის გადამტანი კოლოს გამოჩეკის ადგილები) 968 ჰექტარზე მუნიციპალიტეტის 19 ადმინისტრაციულ ერთეულში; გაწმენდილ იქნა ანოფელოგენური წყალსატევები წყლის ბამბისა და შლამისაგან 190 ჰექტარზე;

დამუშავდა და დეზინფექცია ჩაუტარდა მალარიის გადამტანთა თავშესაფრებს (ცხოველთა და ფრინველთა სადგომები, საწყობები, სარდაფები, საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები, სხვა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები), მათ წინააღმდეგ გატარდა სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებებიც.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2,505.1 ათას ლარს. 42 211 ბენეფიციარის სოციალურ დახმარებაზე და სერვისებზე გაიხარჯა 2,414.6 ათასი ლარი. დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

187.0 ათასი ლარი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 705 ბენეფიციარმა:

- 147.8 ათასი ლარი - 280 ბენეფიციარის ყოველდღიური ცხელი სადილით უზრუნველსაყოფად;

- 39.2 ათასი ლარი - სოფელში მცხოვრებ 425 განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირის (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) საკვები პროდუქტებით დახმარებაზე.

52.7 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 55 ბენეფიციარმა. კერძოდ თანხები გაიხარჯა:

- 1.2 ათასი ლარი - განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ვეტერანის მომვლელზე (ყოველთვიურად 1 ვეტერანს 100 ლარის ოდენობით);
- 20.2 ათასი ლარი - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ადგილობრივ და დევნილ 8 ვეტერანზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 15.7 ათასი ლარი - ააიპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირის“ ფინანსური უზრუნველყოფისთვის;
- 3.3 ათასი ლარი - 11 ბენეფიციარზე, გარდაცვლილი ომის მონაწილის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (თითოეულს 300 ლარის ოდენობით);
- 4.0 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 8 ვეტერანზე (თითოეულს 500 ლარის ოდენობით);
- 4.8 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ომის ვეტერანთან გათანაბრებულ 24 პირზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 3.0 ათასი ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული 3 მეომრის ოჯახზე ფინანსური მხარდაჭერის მიზნით;
- 0.1 ათასი ლარი - 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების საფლავების შესამკობად შეძენილი ყვავილების თაიგულებისთვის;
- 0.4 ათასი ლარი - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ყვავილების გვირგვინის შესაძენად.

91.5 ათასი ლარი ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 301 ბენეფიციარმა:

- 38.3 ათასი ლარი - 77 მარტოხელა მშობლის დახმარებაზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით);
- 4.9 ათასი ლარი - დედ-მამით ობოლი 8 ბავშვის ფულად დახმარებაზე (ყოველთვიურად თითოეულს 50 ლარის ოდენობით);
- 8.4 ათასი ლარი - 46 ბენეფიციარზე, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით (თითოეულს 800 ლარამდე, თანხის ოდენობა განსაზღვრულია კომისიის გადაწყვეტილებით);

- 32.4 ათასი ლარი - 143 მრავალშვილიანი ოჯახისთვის (თითოეულს 200-500 ლარის ოდენობით შვილების რაოდენობის მიხედვით);
- 4.0 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველ 20 ოჯახზე, პირველი-მეორე შვილის შექმნასთან დაკავშირებით (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 3.5 ათასი ლარი - 7 ბენეფიციარზე, ტყუპის შექმნასთან დაკავშირებით (თითოეულს 500 ლარის ოდენობით).

285.5 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 1 308 ბენეფიციარმა. თანხები კონკრეტულად მიიღმართა:

- 53.6 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 536 პირისათვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);
- 41.2 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 206 ბავშვისათვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 4.9 ათასი ლარი - სმენა და მხედველობა დაქვეითებულ 49 პირისთვის (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);
- 100.4 ათასი ლარი - შშმ პირთა და ხანდაზმულთა მომვლელისთვის (ყოველთვიურად 90 ბენეფიციარს 100 ლარის ოდენობით);
- 85.4 ათასი ლარი - ონკოლოგიური დაავადების მქონე 427 ბენეფიციარისთვის (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

62.2 ათასი ლარი - მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 311 ბენეფიციარმა (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).

24.2 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინ მოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 188 ბენეფიციარმა, თანხა კონკრეტულად მიიღმართა:

- 6.5 ათასი ლარი - 100 წელს გადაცილებულ 13 ბენეფიციარზე (თითოეულს 500 ლარის ოდენობით);
- 15.4 ათასი ლარი - 77 სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახზე (თითოეულს 200 ლარის ოდენობით);
- 0.3 ათასი ლარი - ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფის ინვენტარისთვის (ჯგუფი მომსახურებას უწევს 98 ხანდაზმულს);
- 2.0 ათასი ლარი - სარეზერვო ფონდიდან პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი მიზნობრივი თანხა.

99.9 ათასი ლარი სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 630 ბენეფიციარმა:

- 99.6 ათასი ლარი - ახალი წლის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისა და უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციარების სასაჩუქრე პაკეტისათვის (550 ბენეფიციარი);
- 0.3 ათასი ლარი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღის აღნიშვნის ღონისძიებისათვის.

192.5 ათასი ლარი ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 4660-მა ბენეფიციარმა:

- 63.3 ათასი ლარი - დიალიზის პროგრამაში ჩართულ 76 ბენეფიციარზე (ყოველთვიურად თითოეულს 50-100 ლარის ოდენობით);
- 1.1 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველ 11 სტუდენტზე (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);
- 49.8 ათასი ლარი - მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილოს 181 ბენეფიციარის ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად (ყოველთვიურად თითოეულს 25 ლარის ოდენობით);
- 19.7 ათასი ლარი - სოფელ ხურჩის მოსახლეობის მგზავრობის ღირებულების თანადაფინანსებაზე (ყოველთვიურად დაახლოებით 800 ბენეფიციარი);
- 58.6 ათასი ლარი - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის პროგრამის ყოველთვიურ დაფინანსებაზე (ყოველთვიურად დაახლოებით 3598 ბენეფიციარი).

163.4 ათასი ლარი სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 190-მა ბენეფიციარმა:

- 50.6 ათასი ლარი - ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 80 ოჯახზე (თითოეულს 300- 1000 ლარის ფარგლებში);
- 112.8 ათასი ლარი - 110 ბენეფიციარის ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის (ყოველთვიურად თითოეულს 100 ლარის ოდენობით).

23.3 ათასი ლარი დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე (ისარგებლა განსაკუთრებული საჭიროების მქონე 233-მა დევნილმა).

152.6 ათასი ლარი სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამაზე (ისარგებლა 1127 ბენეფიციარმა):

- 60.0 ათასი ლარი - 600 ბენეფიციარზე, გათბობის საშუალებების შესაძენად (თითოეულს 100 ლარის ოდენობით);

- 92.6 ათასი ლარი - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 527 ოჯახზე (თითოეულს 100-1000 ლარის ფარგლებში).

745.7 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაზე სოციალური სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ მოწყობაზე;

10.0 ათასი ლარი - პროგრამაზე „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ 14 ოჯახის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად და საცხოვრისის ეზოს კეთილმოწყობისთვის.

51.4 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამაზე (დაფინანსდა 9 პროექტი).

მუნიციპალიტეტის სამედიცინო დახმარების პროგრამით 2019 წელს ისარგებლა 3 075-მა მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში გაეწია 1,096.4 ათასი ლარის სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება, აქედან 1079.8 ათასი ლარი ანაზღაურდა 2019 წლის ბიუჯეტიდან, ხოლო 16.6 ათასი ლარის ანაზღაურება მოხდება 2020 წლის ბიუჯეტით, ვინაიდან შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან ვერ იქნა უზრუნველყოფილი 2019 წლის ბოლომდე.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- 176.0 ათასი ლარი ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება (ისარგებლა 732-მა მოქალაქემ);
- 392.9 ათასი ლარი - სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება (ისარგებლა 652-მა მოქალაქემ);
- 185.8 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაზე (ისარგებლა 50 პირმა);
- 47.3 ათასი ლარი - სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსების ქვეპროგრამაზე სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქვევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე პირებისთვის (თანადაფინანსება მიიღო 96-მა ბავშვმა);
- 33.2 ათასი ლარი - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 9 ბენეფიციარმა);

- 260.8 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსების ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 1 622-მა მოქალაქემ);
- 0.4 ათასი ლარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება (ისარგებლა 2-მა მოქალაქემ).

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შუამდგომლობა გაეწია - 646 მოქალაქეს.

2019 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მერიის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფები აქტიურად იყვნენ ჩართული შემდეგი ღონისძიებების ორგანიზებაში:

10 მაისს - აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის - კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანმა ექიმებმა ჩაატარეს ერთდღიანი უფასო გამოკვლევები, რომელიც ჩატარდა შპს, "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ"-ში. 420 მოქალაქეს გაეწია უფასო კონსულტაცია და საჭიროების მიხედვით ჩაუტარდა გამოკვლევა.

12 მაისს - გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის პედიატრმა, პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა - ნუგზარ უბერმა ჩაატარა უფასო კონსულტაციები. ამ აქციით ისარგებლა 41 ბავშვმა.

22 ივნისს რეფერალურ საავადმყოფოში ორგანიზაცია „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავლისა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, ჩატარდა საქველმოქმედო აქცია. უფასო გამოკვლევები ჩაატარეს სხვადასხვა პროფილის ექიმებმა. აქციის ფარგლებში ასევე უფასოდ დარიგდა პირველადი მომსახურების მედიკამენტები. ამ მომსახურებით სულ ისარგებლა 250 ბენეფიციარმა.

3-4 ივლისს „ზუგდიდის ბავშვთა პოლიკლინიკაში“ ულზიბატის სახელობის „კლინიკური რეაბილიტაციის ინსტიტუტი“-ს მოწვეულმა ორთოპედებმა ჩაატარეს უფასო კონსულტაციები. სულ ამ აქციით ისარგებლა 45 ბავშვმა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანამშრომლობით ხორციელდება შშმ პირებისათვის ეტლების გადაცემა. 2019 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გადაეცა თვითგადაადილების ეტლი.

2019 წელს ცალკეულ მუხლების მიხედვით შესრულება იძლევა შემდეგ სურათს :

- შრომის ანაზღაურება 5,448.7 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 3,645.0 ათასი ლარი;

- პროცენტი - 180.6 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 19,451.6 ათასი ლარი;
- გრანტები - 982.5 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 2,547.2 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 3,705.1 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 25,808.2 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 739.6 ათასი ლარი

წლის განმავლობაში ცალკეულ ღონისძიებათა და პროგრამების მიხედვით არ არის დაშვებული გადახარჯვები, რასაც უზრუნველყოფს ელექტრონული სახაზინო პროგრამა.

დანართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ანგარიში 22 გვერდზე.

